მერვე გამოცემა
სექტემბერი – თებერვალი

თბილისის სამედიცინო აკადემია
ელ.გაზეთი

მიღება სადოქტორო პროგრამებზე!

მედიცინის მეცნიერებები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ამ გამოცემაში

- განათლება და პარტნიორობები
- სოციალური პასუხისმგებლობა
- სტუდენტური ცხოვრება
- პოდკასტები

შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან:

3 GOOD HEALTH AND WELL-BEING
4 QUALITY EDUCATION
5 GENDER EQUALITY
13 CLIMATE ACTION
16 PEACE, JUSTICE AND STRONG INSTITUTIONS
17 PARTNERSHIPS FOR THE GOALS

სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია

თსა-ს სადოქტორო პროგრამები „მედიცინის მეცნიერებები“ და საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ! სადოქტორო განათლების მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები ბიომედიცინის, მედიცინის/ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მათთან დაკავშირებულ სფეროებში კვლევითი, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

VITAL პროექტის ოფიციალური დაწყება

“VITAL – Virtual Innovation and Training for Advancing Faculty Leaders, Digital Competencies, and Research Excellence” ოფიციალური გახსნის ღონისძიებას უმასპინძლა. აღნიშნული ინიციატივა Erasmus+ ვირტუალური მობილობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტია, რომელსაც კოორდინაციას უწევს სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, გაგიზიართ თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ელექტრონული გაზეთის რიგით მერვე გამოცემა.

ამ გამოცემაში გაეცნობით ინფორმაციას თსა–ში 2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის თებერვლის ჩათვლით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
თსა–ს საზოგადებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

განათლება და პარტნიორობები

სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია

თსა-ს სადოქტორო პროგრამები „მედიცინის მეცნიერებები“ და საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ აკრედიტებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ!
სადოქტორო განათლების მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები ბიომედიცინის, მედიცინის/ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მათთან დაკავშირებულ სფეროებში კვლევითი, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისთვის.
თსა-ს სადოქტორო პროგრამები ხელს შეუწყობს მკვლევართა ახალი თაობის ჩამოყალიბებას, რომელთაც შეეძლებათ საზოგადოებაში არსებული გამოწვევების შესაბამისად კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.

მიღება სადოქტორო პროგრამებზე

თსა-მ გამოაცხადა აპლიკანტების მიღება სადოქტორო პროგრამებზე - „მედიცინის მეცნიერებები“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ შემდეგი სადოქტორო კვლევების განსახორციელებლად:

- Effects of deep brain stimulation of hippocampal cortical and subcortical inputs with different electrical parameters on memory function in rats with cognitive impairment (სამეცნიერო ხელმძღვანელი - გელა ბესელია, სადოქტორო პროგრამა - მედიცინის მეცნიერებები)
- Reflective portfolio as a tool for learning and assessment of professionalism in undergraduate medical education (სამეცნიერო ხელმძღვანელი - მაია ზარნაძე, სადოქტორო პროგრამა - მედიცინის მეცნიერებები
- Patient safety through integration of digital health in medical curricula (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ეკატერინე კლდიაშვილი, სადოქტორო პროგრამა - მედიცინის მეცნიერებები)
- Advancing patient safety through implementation of multidisciplinary clinical team models (სამეცნიერო ხელმძღვანელი - ეკატერინე კლდიაშვილი, სადოქტორო პროგრამა - მედიცინის მეცნიერებები)
- Assessment of behavioral and clinical characteristics of patients enrolled in the Hepatitis B treatment program (სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი კამკამიძე, სადოქტორო პროგრამა - საზოგადოებრივი ჯანდაცვა).

სადოქტორო პროგრამებზე სწავლება წარმოებს ინგლისურ ენაზე.

თბილისის სამედიცინო აკადემია ჯანმო-ს ACAN გაერთიანების წევრი გახდა

2025 წლის დეკემბერში თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) გადაუდებელი მედიცინის სამოქმედო ქსელის - Acute Care Action Network (ACAN) -ოფიციალური წევრი გახდა.
ACAN გლობალური ალიანსია, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (World Health Organization), ამერიკის გულის ასოციაციის (American Heart Association) და ლაერდალის ფონდის (Laerdal Foundation) სტრატეგიული თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. გაერთიანების მიზანია გადაუდებელი მედიცინის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში.
ACAN მსოფლიოს 194 ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 80-მდე ორგანიზაციას აერთიანებს. თბილისის სამედიცინო აკადემია საქართველოდან პირველი უნივერსიტეტია, რომელიც ჯანმო-ს აღნიშნულ გაერთიანებაში გაწევრიანდა.
ACAN-ის სამდივნოში თბილისის სამედიცინო აკადემიის წარდგენა თსა-ის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის, მარიამ ჯაშის, შუამდგომლობით მოხდა, რომელიც სეფსისის გლობალური ალიანსის (Global Sepsis Alliance) ხელმძღვანელის რანგში მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და ACAN-ის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეა.
თბილისის სამედიცინო აკადემიის ACAN-ში წარმატებით გაწევრიანებას არსებითად შეუწყო ხელი აკადემიის ვიცე-რექტორის (კვლევის მიმართულებით) ეკა კლდიაშვილისა ხელმძღვანელობითა და თსა-ს სამედიცინო განათლებისა და კვლევის სპეციალისტის დეა გოდერძიშვილის თანამონაწილეობით ევროკავშირის Horizon-ის პროგრამის საგრანტო აპლიკაციის მომზადებამ. Horizon-ის აღნიშნული განაცხადი თსა-ს კოორდინაციით შემუშავდა და პროექტის კონსორციული ACAN 12 წევრ-ორგანიზაციას აერთიანებს. აპლიკაციის განხილვის შედეგები 2026 წელს გახდება ცნობილი.
თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორის, ირინე შოთაძის ხელმძღვანელობით, აკადემიის დელეგაცია გეგმავს ACAN-ის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობას, რომელიც სავარაუდოდ 2026 წლის მაისში გაიმართება ჟენევაში, ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის 79-ე სესიის პარალელურად.

განათლება და პარტნიორობები

თსა-ს წარმომადგენლები EAIE-ის კონფერენციაზე

თსა-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, ნატალია კოჭლაშვილმა და თეკლა რატიანმა, საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის (EAIE) ყოველწლიურ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. რიგით 35-ე კონფერენციას წელს გოტებორგმა (შვედეთი) უმასპინძლა.
თსა-ს დეგელატები აქტიურად იყვნენ ჩაერთული მრავალმხრივ შეხვედრებში წამყვანი უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა მიზანიც იყო აკადემიის საერთაშორისო პარტნიორობების ქსელის გაფართოება და ახალი შესაძლებლობების ძიება როგორც აკადემიური გაცვლების, ასევე ერთობლივი კვლევითი/ სასწავლო პროგრამების განვითარების მხრივ.

ლექციებისაგან თავისუფალი პროგრამის წარდგენა

თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით აკადემიური და მოწვეული ლექტორებისათვის ვორქშოპი ჩატარდა.
ვორქშოფის მიზანი იყო - ლექციებისაგან თავისუფალი პროგრამის (lecture free) კონცეფციის წარდგენა და აქტიური სწავლების მეთოდების გაცნობა.
ეს არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც ემყარება მტკიცებულებებს და მიზნად ისახავს აქცენტის გადატანას სემინარების დროს აქტიურ სწავლებაზე. აღნიშნული მიდგომა ერთი მხრივ ხელს უწყობს სტუდენტს, თეორიული მასალა პრაქტიკაში გამოიყენოს, მეორე მხრივ ეხმარება მას გაანალიზოს, თუ როგორ ისწავლოს.

ვორქშოპი - „შეფასება სამუშაო ადგილზე (WPBA – Mini-CEX და CbD)“

თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტისა და პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა ვორქშოპი თემაზე: „შეფასება სამუშაო ადგილზე (WPBA – Mini-CEX და CbD)“.
ვორქშოპის მიზანი იყო კლინიკური სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორებისთვის სამუშაო ადგილზე შეფასების თანამედროვე მეთოდების WPBA – Mini-CEX და CbD- გაცნობა და ათვისება.

ჟესტური ენის საერთაშორისო დღე

23 სექტემბერს ჟესტური ენის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის სამედიცინო აკადემიამ ღონისძიებას უმასპინძლა.
სწორი კომუნიკაცია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. თბილისის სამედიცინო აკადემია კი პირველი სამედიცინო უნივერსიტეტია საქართველოში, რომელამც აღიარა ჟესტური ენა და არჩევით საგნად შეიტანა კურიკულუმში. ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობასა და მიზნობრიობაზე აუდიტორიას თსა-ს ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ცისანა ლომაშვილი ესაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა ჟესტური ენის როლზე ჯანდაცვის სფეროში, როგორც ეფექტური და თანასწორი კომუნიკაციის იარაღზე.
ღონისძიების ფარგლებში თბილისის სამედიცინო აკადემიასა და საქართველოს ყრუთა კავშირს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც, რომლის მიზანია აკადემიის სტუდენტებში ჟესტური ენის პოპულარიზაცია, სწავლების შესაძლებლობების შექმნა და სმენადაქვეითებულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა.
შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი ამირან ბატატუნაშვილი და ვიცე-პრეზიდენტი მაია მეტონიძე. ღონისძიების თანაორგანიზატორი იყო საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტუდენტური ასოციაცია (GSAPH), რომელსაც ხელმძღვანელობს თსა-ს კურსდამთავრებული ანა გაბრიჭიძე. ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს თსა-სთან და საქართველოს ყრუთა კავშირთან სხვადასხვა პროექტზე, რომლებიც ეძღვნება ინკლუზიურობას.

TV Show Morning Palitra
Public Broadcaster - International Deaf Week

CIMED-ის ხელმძღვანელების ვიზიტი თსა-ში

თსა-ს სამედიცინო განათლების ინოვაციების ცენტრის (CIMED) ხელმძღვანელები – პროფესორი ჟოზეტ დენეკენსი და პროფესორი ჰერმან ვან როსუმი სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები. შეხვედრების დროს განიხილეს აკადემიაში დანერგილი საგანმანათლებლო ინოვაციების შედეგები, გაანალიზდა პედაგოგებისა და სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირი და შეფასდა მათი გავლენა სასწავლო პროცესის ხარისხზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად CIMED-ის წარმომადგენლებმა განიხილეს ინოვაციების დანერგვისა და მონიტორინგის მექანიზმები.

განათლება და პარტნიორობები

საგრანტო პროექტი - VITAL

პროექტი VITAL – Virtual Innovation and Training for Advancing Faculty Leaders, Digital Competencies, and Research Excellence წარმოადგენს სტრატეგიულ შესაძლებლობების განვითარების საერთაშორისო ინიციატივას, რომელიც დაფინანსებულია Erasmus+ ვირტუალური მობილობის პროგრამის გრანტით.
პროექტში თსა მონაწილეობს როგორც პარტნიორი ორგანიზაცია და მისი განხორციელება და კოორდინაცია აკადემიის მხრიდან უზრუნველყოფილია თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტისა და სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის ფასილიტაციით.
პროექტის კოორდინატორია სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი, ესპანეთი. VITAL ხორციელდება საერთაშორისო კონსორციუმის მიერ, რომელიც აერთიანებს პარტნიორ ინივერსიტეტებს ესპანეთიდან (სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი), იტალიიდან (INFOR ელეა სმარტ ბიზნეს აკადემია), უკრაინიდან (უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სურსათის ბიოტექნოლოგიისა და გენომიკის ინსტიტუტი, ტერნოპოლის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი) და საქართველოდან (პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ინივერსიტეტი).

თსა PROFFORMANCE + პროექტის კონფერენციაზე

PROFFORMANCE + პროექტის დასკვნით კონფერენციას ბუდაპეშტმა უმასპინძლა. კონფერენციამ სახელწოდებით „დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა - ღონისძიება სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის“ – 14 ქვეყნის 90 წარმომადგენელი გააერთიანა.
ღონისძიებაზე თსა-ს წარმოადგენდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე და PROFFORMANCE-ის ინსტიტუციური ელჩი (PIA), ბიძინა ჩაჩხიანი.
კონფერენციის მთავარი ფოკუსი იყო PROFFORMANCE-ის შეფასების ხელსაწყოს, მოკლე სასწავლო კურსებისა და სწავლების სრულყოფისათვის შექმნილი მონაცემთა ბაზის პრაქტიკული გამოყენება. ღონისძიება ჩატარდა Erasmus+-ისა და Tempus Public Foundation-ის მხარდაჭერით.

VITAL პროექტის ოფიციალური დაწყება

თბილისის სამედიცინო აკადემიამ პროექტის “VITAL – Virtual Innovation and Training for Advancing Faculty Leaders, Digital Competencies, and Research Excellence” ოფიციალური გახსნის ღონისძიებას უმასპინძლა. აღნიშნული ინიციატივა Erasmus+ ვირტუალური მობილობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტია, რომელსაც კოორდინაციას უწევს სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი).
VITAL-ის მიზანია საქართველოში და უკრაინაში ადრეული კარიერული ეტაპის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების გაძლიერება შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- კარიერული განვითარების მხარდაჭერა რბილი უნარებისა (soft skills) და აკადემიური ლიდერობის ტრენინგების საშუალებით;
- ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესება ინოვაციური და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენებით;
- კვლევითი პოტენციალის გაძლიერება მენტორობის პროგრამების, მეთოდოლოგიური ვორქშოფებისა და თანაავტორობის შესაძლებლობების გზით;
- ევროპული ღირებულებების ხელშეწყობა ინკლუზიური ლიდერობისა და ინსტიტუციური პოლიტიკის გაუმჯობესების გზით.

თსა-ში გამართული ოთხდღიანი შეხვედრა, მიეძღვნა ამ სამწლიანი პროექტის ოფიციალურ დაწყებას, რაც თავის მხრივ ქმნის საფუძველს პროექტის კოორდინირებული სტარტისთვის და ხელს უწყობს მის წარმატებულ განხორციელებას.

განათლება და პარტნიორობები

Digi-CHange კონსორციუმის შეხვედრა

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული უმაღლესი განათლების შესაძლებლობების განვითარების პროექტის Digi-CHange – Digital Transformation and Curriculum Development for Healthcare Teams განხორციელება დაიწყო. პროექტი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში ციფრული ჯანდაცვის, ხელოვნური ინტელექტის და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ინტეგრაციით სამედიცინო და საექთნო განათლების მოდერნიზაციას. Digi-CHange-ის განხორციელება დაიწყო 2025 წლის ოქტომბერში. პროექტის გუნდი აერთიანებს ევროკავშირის წევრი (ირლანდია, იტალია, ლატვია) და პარტნიორი (საქართველო და უკრაინა) ქვეყნებიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს.

პროექტის განხორციელების საწყის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა Digi-CHange-ის კონსორციუმის პირველი საერთაშორისო შეხვედრა. შეხვედრაზე კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების გუნდებმა იმსჯელეს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე და ერთად შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რაც მიუთითებდა პროექტის მოსამზადებელი ეტაპიდან კოორდინირებულ მოქმედებებზე გადასვლას და ადასტურებდა კონსორციუმის ერთიან ხედვას პროექტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რეფორმის მიმართ.

ARIVE პროექტის კონსორციუმის შეხვედრა (Kick-off Meeting)

3 თებერვალს დისტანციურად გაიმართა ARIVE პროექტის კონსორციუმის შეხვედრა. მონაწილეებმა განიხილეს პროექტის მიზნები, სამუშაო მიმართულებები და თანამშრომლობის ფორმატი, ასევე შეთანხმდნენ ორგანიზაციულ და საკოორდინაციო საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუშაო პროცესის დაგეგმვას, კომუნიკაციის წესებსა და დაგეგმილი აქტივობების განსაზღვრას. შეხვედრის ფარგლებში ჩამოყალიბდა ერთიანი სამუშაო ჩარჩო და განისაზღვრა პროექტის განხორციელების შემდგომი ნაბიჯები.

ARIVE არის Erasmus+ პროექტი, რომლის მიზანია ჯანმრთელობის მეცნიერებების და მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის მაღალი ხარისხის ვირტუალური კვლევითი შესაძლებლობების ჩამოყალიბება.

არითმიის ზამთრის სკოლა 2026

თბილისის სამედიცინო აკადემიისა და არითმიის სკოლის თანაორგანიზებით, ბაკურიანმა წელსაც ტრადიციულად უმასპინძლა პროექტს - „არითმიის ზამთრის სკოლა 2026“.

არითმიის ზამთრის სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს მედიცინის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმების ცოდნის ამაღლებას ელექტროკარდიოგრაფიის (ეკგ) და არითმიის მართვაში.

ზამთრის სკოლის ინიციატივა უკვე რამდენიმე წელს ითვლის, ბოლო ორი წელი კი ღონისძიება თბილისის სამედიცინო აკადემიის ინსტიტუციური პროექტის LIFESTRAND-ის ეგიდით ხორციელდება.

საერთაშორისო კურსი „მინდობილი პროფესიული საქმიანობა“

თსა-ს ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა, ცისანა ლომაშვილმა და კახა ბრეგვაძემ წარმატებით გაიარეს საერთაშორისო ონლაინ კურსი მინდობილი პროფესიული საქმიანობის (Entrustable Professional Activities - EPAs) შესახებ: „Ins and Outs of Entrustable Professional Activities“. კურსი ორგანიზებული იყო ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (The Association of Medical Schools in Europe – AMSE) მიერ და მას უძვებოდნენ სამედიცინო განათლებაში ავტორიტეტული ისეთი ფიგურები, როგორიცაა ოლე ტენ კატე, ჰარმ პეტერსი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ამჟამად EPA აქტიურად ინერგება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, თსა-ს მედიცინის პროგრამაშიც ინტენსიურად მიმდინარეობს მისი იმპლემენტაცია.

განათლება და პარტნიორობები

მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2025 (MEDIC 2025)

25 – 27 ნოემბერს, თბილისის სამედიცინო აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2025 (MEDIC 2025)". სამდღიანი კონფერენცია ჰიბრიდულ ფორმატში წარიმართა. ღონისძიებას მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების ევროპული აკრედიტაციის საბჭოს მიერ (EACCME®).
კონფერენციის მიზანი იყო ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: თანამედროვე ექიმის ჩამოყალიბებისთვის განათლების ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის მნიშვნელობა, როგორ შეიძლება თანამონაწილეობდეს კვლევით პროცესში საზოგადოება, რა უპირატესობები და გამოწვევები აქვს ჯანდაცვაში და სამედიცინო განათლების მიზნებისთვის ინოვაციური მიდგომების და ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებას.
სამდღიან კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ თსა-ს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების დოქტორანტები და მაგისტრანტები. მათ წარადგინეს პრეზენტაციები და მონაწილეობა მიიღეს ინტერაქციულ ვორქშოპებში.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის შეხვედრა

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატური სამუშაო ჯგუფის მორიგ შეხვედრას ლინშოპინგის უნივერსიტეტმა (შვედეთი) უმასპინძლა. თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის სახელით, შეხვედრას ესწრებოდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მაკა ზარნაძე და სამედიცინო განათლებისა და კვლევის სპეციალისტი დეა გოდერძიშვილი.
შეხვედრა მიზნად ისახავდა პერსონალის განვითარებისა და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაძლიერების ჩარჩოს შექმნასა და დასრულებას. ასევე, 2026 წლის თებერვალში ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სწავლა/სწავლების ფორუმისათვის ვორქშოპის მომზადებას.
2025 წლის გაზაფხულიდან თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტი მონაწილეობს EUA-ის თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის განვითარების ხელშეწყობასა და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაძლიერებაზე.

თსა EUA-ს თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობს

2025 წლის გაზაფხულიდან თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტი მონაწილეობს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის განვითარების ხელშეწყობასა და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაძლიერებაზე.
აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს საფრანგეთიდან, შვედეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან, კოსოვოდან და სხვა ქვეყნებიდან. თსა ჯგუფში წარმატებული აპლიკაციის საფუძველზე მოხვდა და აქტიურად მონაწილეობს სამუშაო პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის განვითარების საუკეთესო მოდელებისა და ინსტიტუციური პრაქტიკების გაზიარებას.
თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის სახელით, შეხვედრას ესწრებოდნენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მაკა ზარნაძე და სამედიცინო განათლებისა და კვლევის სპეციალისტი დეა გოდერძიშვილი.

განათლება და პარტნიორობები

პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი თელავში

თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) გუნდი, აკადემიისა და Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტ „LIFESTRAND"-ის ფარგლებში 5-6 დეკემბერს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თელავის ბავშვთა განვითარების ცენტრს სტუმრობდა. სტუდენტებმა აკადემიის პერსონალის ჩართულობით ჩაატარეს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი. პროექტის საბოლოო მიზანია პოტენციურად მაღალი მილიტარისტული რისკის ზონებში მაცხოვრებელი მოწყვლადი მოსახლეობისთვის, რომელიც დაზარალდა რუსეთის ოკუპაციისა და სამხედრო აგრესიის შედეგად, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების სწავლება.

EUA-ის ყოველწლიური ფორუმი

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) ყოველწლიურ ფორუმს წელს ლისაბონმა (პორტუგალია) უმასპინძლა. ფორუმის ძირითადი თემა იყო ევროპის უნივერსიტეტებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება პერსონალის პროფესიული განვითარების გზით.

შეხვედრის ფარგლებში, თბილისის სამედიცინო აკადემია წარადგინეს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ასოცირებული პროფესორმა მაკა ზარნაძემ და რექტორის მიმდინარე საქმეების კოორდინატორმა ანა მამისეიშვილმა. აკადემიის წარმომადგენლებმა, ევროპელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად, ფორუმის მონაწილეებს გააცნეს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაცის თემატური სამუშაო ჯგუფის ერთწლიანი მუშაობის შედეგები. კერძოდ, მათ მონაწილეობა მიიღეს ვორქშოფის ფასილიტაციაში, რომელიც შეეხებოდა ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას პერსონალის განვითარების მიმართულებით.

პოლონეთის დელეგაცია თსა-ში

Erasmus+-ის პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, თსა-მ ლოძის სამედიცინო უნივერსიტეტის (პოლონეთი) სამედიცინო განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, პროფესორ იანუშ იანჩუკოვიჩს და მის კოლეგებს უმასპინძლა.

ვიზიტის მიზანი იყო აკადემიის სტუდენტებთან და პერსონალთან გამოცდილების გაზიარება.

ოთხ დღიანი ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა წარადგინეს თანამედროვე ხედვა და მეთოდოლოგია სამედიცინო პროფესიონალიზმის განსაზღვრისა და სწავლების მიმართულებით. ასევე, სტუდენტებს გაუზიარეს ინფორმაცია იმუნოლოგიაში გამოყენებული ინოვაციური მეთოდებისა და ტრავმაზე ორიენტირებული მოვლის/განათლების შესახებ. ინტერაქტიული ლექციების პარალელურად, სამუშაო შეხვედრები დაეთმო ლიდერობისა და ექიმ-პაციენტის კომუნიკაციის საკითხებს. სამუშაო ვიზიტის ნაწილი ასევე დაეთმო ერთიანი ჯანმრთელობის (one-health approach) მიდგომას და პლანეტარული ჯანმრთელობის აქტუალურ საკითხებს.



განათლება და პარტნიორობები

ARIVE – კვლევისა და ინოვაციების განვითარება უმაღლეს განათლებაში ვირტუალური გაცვლების გზით

ARIVE არის Erasmus+ პროექტი, რომლის მიზანია ჯანმრთელობის მეცნიერებების და მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებებით სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის მაღალი ხარისხის ვირტუალური კვლევითი შესაძლებლობების ჩამოყალიბება. პროექტი გულისხმობს სტრუქტურირებული ვირტუალური კვლევითი სემესტრების, კვლევის მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხებზე ტრენინგების, ასევე საერთაშორისო აკადემიური მენტორობის განხორციელების გზით მონაწილე ინსტიტუციების საერთაშორისო კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას.
ARIVE კონსორციუმი აერთიანებს პარტნიორ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს ლატვიიდან, პორტუგალიიდან, ნორვეგიიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.
მკვლევარი: სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი.

Digi-CHange

Digi-CHange – ჯანდაცვის გუნდებისთვის სასწავლო პროგრამების ციფრული ტრანსფორმაცია და განვითარება არის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული უმაღლესი განათლების შესაძლებლობების განვითარების პროექტი, რომლის კოორდინატორიც თსაა.
პროექტი ხორციელდება საერთაშორისო კონსორციუმის მიერ, რომელიც აერთიანებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს ევროკავშირის წევრი (ირლანდია, იტალია და ლატვია) და პარტნიორი (საქართველო და უკრაინა) ქვეყნებიდან. Digi-CHange-ის მიზანია სამედიცინო და საექთნო განათლების მოდერნიზება ციფრული ჯანდაცვის, ხელოვნური ინტელექტისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ინტეგრაციის გზით, რათა ჯანდაცვის მომავალი პროფესიონალები მომზადდნენ ეთიკური, თანამშრომლობითი და ციფრულად გამართული კლინიკური პრაქტიკისთვის.
მკვლევარი: სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი.

განათლება და პარტნიორობები

გერმანელი სტუდენტების ვიზიტი თსა-ში

თსა-მ ბერლინის აკონის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტუდენტებს სილვია ზანეტსა და მანიჟა ჰაკიმოვას უმასპინძლა. სტუდენტები საქართველოში ჩამოვიდნენ კვლევის ჩასატარებლად, რომლის მიზანია თბილისის მოსახლეობაში ჰაერის დაბინძურებისა და მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ ცოდნის, ჯანმრთელობის რისკის აღქმისა და პრაქტიკის შეფასება. ექვსთვიანი კვლევა ხორციელდება თსა-ს სტუდენტების ნანუკა ყაჭიურისა და მარიამ ქევხიშვილის თანამონაწილეობით.
კვლევის პარალელურად, გერმანელმა სტუდენტებმა ჩაატარეს სემინარი თანატოლებისთვის - „უხილავი დამაბინძურებლები, ხილული ზემოქმედება“. სემინარზე განხილული იყო, თუ როგორ მოქმედებს ჰაერის დაბინძურება, ნაწილაკები და ნანონაწილაკები ადამიანისა და გარემოს ჯანმრთელობაზე.

თსა-ს სტუდენტები საქართველოს ეროვნულ სკრინინგ ცენტრში

რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული დიაგნოსტიკა და როგორ უწყობს სკრინინგი ხელს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას - ამ თემებზე სასაუბროდ თსა-ს სტუდენტები საქართველოს ეროვნულ სკრინინგ ცენტრს სტუმრობდნენ.
სტუდენტებს მასპინძლობა სკრინინგ ცენტრის დირექტორმა ეთერ კუღურაძემ გაუწია, რომელიც ამავდროულად თბილისის სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებულია. მან სტუდენტებს არა მხოლოდ ცენტრის მუშაობის სპეციფიკა გააცნო, არამედ საკუთარი პროფესიული გამოცდილებაც გაუზიარა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრევენციის მნიშვნელობას და დროული დიაგნოსტიკის აუცილებლობას.
გარდა ამისა, ცენტრის დირექტორმა სტუდენტებს გააცნო საქართველოში ამჟამად მოქმედი სკრინინგ პროგრამები, ესაუბრა არსებულ გამოწვევებზე და სამომავლო გეგმებზე.
შეხვედრა საინფორმაციო კამპანიის “ვარდისფერი ოქტომბრის” ფარგლებში გაიმართა.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

სტუდენტური პროექტების პრეზენტაცია

სტუდენტური პროექტების პრეზენტაცია
თბილისის სამედიცინო აკადემიაში სოციალური და კულტურული საგრანტო პროექტების შედეგების დისემინაცია გაიმართა, სადაც 2025 წლის გამარჯვებული პროექტების ავტორებმა საკუთარი ინიციატივების შედეგები და ძირითადი მიღწევები წარმოადგინეს. ღონისძიების მიზანი იყო განხორციელებული აქტივობების პოპულარიზაცია, გამოცდილების გაზიარება და სტუდენტური ინიციატივების მნიშვნელობის ხაზგასმა.
გასულ წელს საკონკურსო კომისიამ ხუთი გამარჯვებული პროექტი გამოავლინა:

1) "პლანეტარული ჯანმრთელობა და ნარჩენების მართვა"
ავტორები: ავთანდილ სამადალაშვილი, მედეა კუსიანი
პროექტმა სამი თვის განმავლობაში გააერთიანა მრავალფეროვანი აქტივობები: შვიდი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტრენინგი და ერთი მასშტაბური დასუფთავების აქცია. სტუდენტებმა ითანამშრომლეს სამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ორ სოციალურ საწარმოსთან, ესენია: „ტენე", „სადაგი", CENN, Plastic Watcher და „ჩემი ქალაქი მკლავს".

2) "საფრთხის ჩურჩული: დეციბელის ეფექტის შესწავლა გულისცემაზე"
ავტორები: რიშუ გირიშ შაჰი, თამარ დანდურიშვილი
პროექტის ავტორებმა გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი საგანმანათლებლო ფილმი, რომელიც იკვლევს ხმოვანი დაბინძურების გავლენას გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობაზე. ფილმი აერთიანებს რეალურ ისტორიებს, ექსპერტთა შეფასებებს და წარმოაჩენს ხმაურის პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ადამიანის კეთილდღეობაზე.

3) "Special Needs Support"
ავტორები: თათა ტატალაშვილი, ელენე საჯაია, სესილი ლაზარია, ანა ჩიქოვანი
ინიციატივის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა საკუთარი პოტენციალის გამოვლენისთვის.
სტუდენტებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმ გამოწვევებზე, რომლებიც სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირებსა და მათ ოჯახებს საქართველოში აწუხებთ.
პროექტის სლოგანია: „ინკლუზიურობა ცნობიერების ამაღლებით იწყება — და ცნობიერება ჩვენგან, მომავალი ექიმებიდან იწყება."

4) "სტუდენტები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის"
ავტორები: მარიამ ჯორბენაძე, ნანა ყაჭიური, მარიამ ქევხიშვილი, საბა ჩიქობავა, ელენე ლილუაშვილი, ელენე გუბელაძე
პროექტის მიზანი იყო გურჯაანის რეგიონში არტერიული ჰიპერტენზიის შესახებ ცნობიერების ამაღლება და პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარების პოპულარიზაცია. განხორციელდა საინფორმაციო და პრაქტიკული აქტივობები — ჰიპერტენზიის სკრინინგი და გადაუდებელი დახმარების ვორქშოპი.
ინიციატივის ფარგლებში, სტუდენტებმა მოიცვეს გურიის რეგიონიც. კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ჩატარდა ჰიპერტენზიის სკრინინგის კამპანია.
5) "VitalCare"
ავტორები: ნინო ჩხუტიშვილი, ლევან ბახტაძე, მარიამ ბერძენიშვილი, ლია თევდორაძე, თამარ ქობულაშვილი
პროექტი "VitalCare" მიზნად ისახავდა მოზარდებში საბაზისო სამედიცინო ცოდნის გავრცელებას და გადაუდებელ შემთხვევებში სწორი რეაგირების უნარების განვითარებას. სამი თვის განმავლობაში სტუდენტებმა მოიცვეს ექვსი ქალაქი: თბილისი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ბაკურიანი და სამტრედია. თითოეული ვიზიტი მოიცავდა პრაქტიკულ ვორქშოპებს და აქტიურ ინტერაქციას სკოლის მოსწავლეებთან.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

ვარდისფერი ოქტომბერი

თსა-მ ტრადიციულად, მონაწილეობა მიიღო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. გასული წლების მსგავსად, წელსაც ცოცხალი ჯაჭვის აქციაში აქტიურად ჩაერთნენ თსა-ს სტუდენტები და აკადემიის წარმომადგენლები.

სტუდენტთა მოხალისეობრივი შესაძლებლობები

თბილისის სამედიცინო აკადემიამ საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისა და სოციალური საწარმოს „ბაბალეს“ წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ინკლუზიურ გარემოში რეალური პრაქტიკული გამოცდილების ხელშეწყობა, მოხალისეობის შესაძლებლობების გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავება.
ღონისძიებას უძღვებოდა ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მაღლაკელიძე. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ დაუნის სინდრომის ასოციაციის განათლებისა და განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი ქეთი არჯევანიძე, „ბაბალეს“ პროფორიენტაციისა და დასაქმების პროგრამის ექსპერტი ნინო სიხარულიძე, გიგოს ფონდის დამფუძნებელი გიგო შიუკაშვილი და თვითადვოკატი მარიამ ბერიკელაშვილი.

მოტივაცია პიროვნული ზრდისთვის

"მოტივაცია პიროვნული ზრდისთვის" – ვორქშოპი თბილისისა სამედიცინო აკადემიის პერსონალისთვის ჩატარდა. შეხვედრას უძღვებოდა ფსიქოთერაპევტი ნინო ბუაძე. მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცნობიერებინათ საკუთარი პიროვნული ტიპები და პრაქტიკაში გამოეყენებინათ პროექციული ტესტები.
ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეებს ასევე მიეცათ შესაძლებლობა გაეცნონ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, რომლებიც ემსახურება მოტივაციის მართვასა და სტრესული გამოცდილებების პრევენციას.

საქველმოქმედო ღონისძიება თსა-ში

თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტუდენტური ასოციაციის თანამონაწილეობით თსა-მ საქველმოქმედო ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიება ვარდისფერი ოქტომბრის ფარგლებში გაიმართა და ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას მიეძღვნა.
ღონისძიების მთავარი მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება, ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის გაზრდა და პაციენტთა მხარდაჭერის გაძლიერება.
თემაზე სასაუბროდ, თსა-ში მოწვეული იყო – მამოლოგი, ენდოკრინული ქირურგი, კანისა და რბილი ქსოვილების ქირურგი, ონკოლოგი სოსო სანიკიძე. მომხსენებლმა ისაუბრა ძუძუს კიბოს სკრინინგის მნიშვნელობაზე.
ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდა „ევროპა დონა საქართველოს“ რეგიონალური დირექტორი და კავკასიის ონკო-საზოგადოება „ჰოუფის“ საბჭოს წევრი, ჟანა ბაბუნაშვილი. შეხვედრას ესწრებოდნენ თსა-ს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. ასევე, საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი მაია მეტონიძე, და კავშირის წევრები, რომელთაც, ჟესტური ენის თარჯიმანი სინქრონში უთარგმნიდა ღონისძიების მიმდინარეობას. საღამო დასრულდა ჯგუფი “მგზავრების” კონცერტით.

ფქოდ-ის დღე თსა-ში

ნოემბერში ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით, თსა-ს სტუდენტების ორგანიზებით, აკადემიაში ღონისძიება გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა ინტერაქტიულ სესიას და საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლის მიზანიც იყო გაეზარდა ცნობიერება როგორც სიგარეტში არსებული ტოქსინების შესახებ, ასევე ხაზი გაესვა სიგარეტის გავლენას ფილტვის ფუნქციაზე.
ინტერაქტიულ სესიას უძღვებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) რეგიონული ოფისის კონსულტანტი ქრონიკული რესპირატორული დაავადებების მიმართულებით და დამოუკიდებელი კონსულტანტი თამბაქოს კონტროლის სფეროში, ნინო მაღლაკელიძე. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო ევროპის რეგიონსა და საქართველოში ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული კვლევა.

სტუდენტური ცხოვრება

შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობები

თბილისის სამედიცინო აკადემიამ ფსიქოთერაპევტს, კლინიცისტ ლანა რუაძეს უმასპინძლა, რომელიც სტუდენტებს ესაუბრა თემაზე: „შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობები“.

შიზოფრენია ფსიქიატრიული დაავადებაა, რომელიც მოქმედებს როგორც ფსიქიკურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა დაავადების თანამედროვე მიდგომებზე, დიაგნოსტიკისა და მართვის თავისებურებებზე.

შეხვედრის მონაწილე სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ უახლეს საერთაშორისო კვლევებსა და თანამედროვე კლინიკურ მიდგომებს, რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებას.

თსა-ს სტუდენტები ახალგაზრდა მკვლევართა სიმპოზიუმზე

თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებმა ნანუკა ყაჭიურმა და მარიამ ქევხიშვილმა ახალგაზრდა მკვლევართა სიმპოზიუმზე კვლევა წარადგინეს. სტუდენტები გერმანიაში, ბერლინის აკონის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიწვევით იმყოფებოდნენ. კვლევა გერმანელი და ქართველი სტუდენტების თანამონაწილეობით ხორციელდება. გერმანიაში გამგზავრებამდე, კვლევაზე სამუშაოდ თბილისის სამედიცინო აკადემიას გერმანელი სტუდენტებიც სტუმრობდნენ. ექვს თვიანი კვლევის მიზანია თბილისის მოსახლეობაში ჰაერის დაბინძურებისა და მისი ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ ცოდნის, ჯანმრთელობის რისკის აღქმისა და პრაქტიკის შეფასება.

სიმპოზიუმის ფარგლებში, თსა-ს სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ახალგაზრდების კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, გაეზიარებინათ გამოცდილება და დაემყარებინათ ახალი სამეცნიერო თუ კულტურული კავშირები.

სიმპოზიუმის პარალელურად, სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ დასწრებოდნენ ვირხოვის პრიზის ცერემონიას, რომელიც ყოველწლიურად აჯილდოებს იმ ადამიანებს, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გლობალურ ჯანმრთელობაში.

ამასთან, თსა-ს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ჯანმრთელობის მსოფლიო სამიტში. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფორუმში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში.

თსა-ს სტუდენტების ფილმის ჩვენება

ფილმი გამოქვეყნებულია თსა-ს ოფიციალურ YouTube არხზე > ფილმი

“საფრთხის ჩურჩული: დეციბელის ეფექტის შესწავლა გულისცემაზე” – საგანმანათლებლო ფილმის პრემიერას თსა-ს საგამოფენო სივრცემ უმასპინძლა. ფილმის ავტორები თსა-ს სტუდენტები, თამარ დანდურიშვილი და რიშუ გირიშ შაჰი არიან.

სტუდენტების ნამუშევარი ერთ-ერთია იმ პროექტებს შორის, რომელმაც სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტების კონკურსში გაიმარჯვა. “მედიცინისა და ხელოვნების შერწყმით, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ნათელი მოგვეფინა უხილავი საფრთხისთვის - თუ რა ფარული კავშირია ხმაურის დაბინძურებასა და გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას შორის” - აღნიშნეს პროექტის ავტორებმა.

მოკლემეტრაჟიანი საგანმანათლებლო ფილმი იკვლევს ხმოვან დაბინძურებასა და გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას შორის კავშირს. იგი აერთიანებს რეალურ ისტორიებს, ექსპერტთა შეფასებებსა და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამხელა გავლენის მოხდენა შეუძლია ჩვენს გარშემო არსებულ ხმებს ჩვენს კეთილდღეობაზე.

მეხსიერების მეცნიერება და ალცჰაიმერის დაავადება

თსა-ს ალცჰაიმერის კლუბის ორგანიზებით, აკადემიაში მორიგი შეხვედრა გაიმართა. "მეხსიერების მეცნიერება და ალცჰაიმერის დაავადება" - ამ თემაზე სასაუბროდ აკადემიამ საქართველოს ალცჰაიმერის ასოციაციის მდივანს, ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ანა კიკნაძეს უმასპინძლა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ალცჰაიმერის დაავადება წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას. დაავადებას, რომელიც გვამოწმებს როგორც სამეცნიერო პროგრესის, ისე თანაგრძნობისა და ადამიანობის თვალსაზრისით.

თსა მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ალცჰაიმერის ასოციაციასთან და მუდმივად ცდილობს, სამეცნიერო ცოდნა გაავრცელოს სტუდენტებს შორის არამხოლოდ აკადემიური განვითარების მიზნით, არამედ იმისთვის, რომ ჯანდაცვის სფეროში ჩამოყალიბდეს თანაგრძნობისა და ინფორმირებულობის კულტურა. ორივე ინსტიტუციის მიზანია, შექმნას ისეთი სამედიცინო საზოგადოება, რომელიც აფასებს განათლებას, დიალოგს და პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომებს.

სტუდენტური ცხოვრება

პროექტი - „ახალგაზრდა ჯანდაცვის გმირები“

„ახალგაზრდა ჯანდაცვის გმირები“ - ეს არის საგრანტო კვლევითი პროექტი, რომელიც თბილისის სამედიცინო აკადემიის მხარდაჭერით სტუდენტმა, ანანო ახობაძემ განახორციელა.
პროექტის ფარგლებში, თსა-ს სტუდენტები სოფელ ნიჩბისის საჯარო სკოლაში იმყოფებოდნენ. სამ დღიანი პროექტის ფარგლებში, აკადემიის სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ სკოლის მოსწავლეებისთვის გაეზიარებინათ ინფორმაცია ჯანდაცვის სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. კერძოდ: პაპილომა ვირუსი, ტუბერკულოზი, კოვიდ 19, როგორ მუშაობს ვაქცინები, რა სახის ვაქცინები არსებობს და როგორ გვიცავს იგი, ჰეპატიტი, მაკრონუტრიენტები, სწორი კვება, ძილი, ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა, გენეტიკური და შეძენილი დაავადებები, დიაბეტი თავისი სახეობებით და სხვა.
პროექტის „ახალგაზრდა ჯანდაცვის გმირები“ მიზანია შეისწავლოს Peer Instruction - თანატოლთა სწავლის მოდელისა და ტრადიციული სწავლების მეთოდების ეფექტიანობის შედარება სასწავლო პროცესში.

ვორქშოპი კარდიოლოგიით დაინტერესებულთათვის

კარდიოლოგიით დაინტერესებული სტუდენტებისთვის, თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებულმა პროფესორმა, კარდიოლოგმა ანა რეხვიაშვილმა ვორქშოპი ჩაატარა. მომხსენებელმა ისაუბრა კარდიოლოგობამდე მისასვლელ გზებზე და წარადგინა სხვადასხვა საინტერესო კლინიკური შემთხვევა.
შეხვედრის ფარგლებში, სტუდნეტებმა იმუშავეს ელექტროკარდიოგრაფიისა (ეკგ) და ექოკარდიოგრაფიის ინტერპრეტაციაზე, ასევე გაიმართა ინტელექტუალური თამაში Kahoot.
ღონისძიება ორგანიზებული იყო თსა-ს სტუდენტების — გვანცა ომიაძის (საქართველოს სტუდენტთა კარდიოლოგიის ასოციაციის დირექტორი), ლიკა კეკელიძისა და პაპუნა სირბილაძის (დამფუძნებლები) — მიერ; ასოციაციამ ოფიციალური რეგისტრაცია უკვე გაიარა და მოიპოვა არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი.
შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებმა თანატოლებს გაუზიარეს ასოციაციის მისია და მიზნები. კერძოდ, ასოციაციის მიზანია კარდიოლოგიით დაინტერესებული სტუდენტების გაერთიანება, განათლების ხელშეწყობა და კვლევითი-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება.
ასოციაციის ლოგანია: გავერთიანდეთ, ვისწავლოთ, შევქმნათ და გავიზარდოთ — ერთად გულისთვის!

კულტურათაშორისი ხიდი: მაროკო და საქართველო

თსა-ს კულტურის კლუბის ორგანიზებითა და მაროკოს ალ ჰოსეიმას გამოყენებითი მეცნიერებების ეროვნული სკოლის მონაწილეობით ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაცვლა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.
ამჯერად, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ორი ქვეყნის — საქართველოსა და მაროკოს — მდიდარი ისტორია და მრავალფეროვანი კულტურა.
ინიციატივის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ უკეთ გასცნობოდნენ ერთმანეთის ისტორიას, ტრადიციებსა და თანამედროვე კულტურას.

სტუდენტური კონფერენცია - “ინოვაციები კარდიოლოგიაში”

თსა-ს სტუდენტური კლუბის “გულის მცველების” ინიციატივით გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ინოვაციები კარდიოლოგიაში“, რომელმაც გააერთიანა კარდიოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრდები.
კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა წარმოადგინეს მოხსენებები კარდიოლოგიის თანამედროვე და სწრაფად განვითარებად მიმართულებებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კათეტერული აბლაციის ინოვაციურ მეთოდებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლეს სტრატეგიებს, ასევე აქტუალურ კარდიოლოგიურ პათოლოგიებსა და მათი მართვის თანამედროვე მიდგომებს.

სტუდენტური ცხოვრება

საორიენტაციო დღე პირველკურსელთათვის

თსა-ში პირველკურსელებს ვუმასპინძლეთ.
საორიენტაციო დღის ფარგლებში ახალწვეულებს გავაცანით სასწავლო პროგრამა, ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციური კულტურა და ხარისხის მართვის სისტემა.
ღონისძიებაში თსა-ს უფროსკურსელები აქტიურად ჩაერთნენ, მათ მეგზურობა გაუწიეს პირველკურსელებს, წარუდგინეს სხვადასხვა სტუდენტური პროექტი და აქტივობა, ასევე გააცნეს მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამები. საკუთარი გამოცდილების გაზიარებით კი ახალწვეულებს დაეხმარნენ უკეთ შეეგრძნოთ ახალი გარემო.
ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა თსა-ს სტუდენტურმა ბენდმა - "ელექტრო სატრანსპორტო ჯაჭვი".

სტაჟირება პოლონეთსა და ლიეტუვაში

თსა-ს სტუდენტებმა ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, კლინიკური სტაჟირება ბიალისტოკის და კლაიპედას (ლიეტუვა) საუნივერსიტეტო კლინიკაში გაიარეს.



კურსდამთავრებულთა კლუბი

თსა-ს დამთავრებიდან კარდიოლოგობამდე

თსა-ში ჩვენს კურსდამთავრებულს, ზვიად კერესელიძეს ვუმასპინძლეთ. შეხვედრის ფარგლებში მომხსენებელმა ისაუბრა კლინიკურ პრაქტიკაში გაიდლაინებისა და მტკიცებულებების მნიშვნელობაზე და ასევე წარმოადგინა თავისი უახლესი კვლევა. სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ მონაწილეობა მიეღოთ ჯგუფურ აქტივობაში, რომელიც ეხებოდა პაციენტის გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკის შეფასებას.

USMLE-ის ვორქშოპი თსა-ში

თსა-ს კურსდამთავრებულმა გიორგი ამირიძემ USMLE ვორქშოპი ჩაატარა. გიორგიმ წარმატებით ჩააბარა USMLE-ის Step 1 და საკუთარი გამოცდილება სტუდენტებს გაუზიარა. ისაუბრა თუ რა მასალა და რესურსი დაეხმარა მას ყველაზე მეტად გამოცდის ჩაბარებაში, რამდენი ხანი ემზადებოდა, როგორი იყო მისი სასწავლო რუტინა და ა.შ.

თსა-ს კურსდამთავრებულის ვიზიტი კადემიაში

რამდენად მნიშვნელოვანია ემპათია პრაქტიკაში, კლინიკური ურთიერთობები და სოციალურ პროექტებში ჩართულობა - ამ საკითხზე სასაუბროდ, თსა-მ აკადემიის კურსდამთავრებულს, გიორგი თათელიშვილს უმასპინძლა. სტუმარმა სტუდენტებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება სოციალურ პროექტებში მონაწილეობის შესახებ.

პოდკასტები

თეკლა გაბისკირია და მალიმა ჩიხლაძე - გამოცდილება ბიალისტოკის უნივერსიტეტიდან.

უყურე აქ:

რიშუ გირიშ შაჰ და დებორაჰ აკინშულირე პლანეტარული ჯანმრთელობის შესახებ.

უყურე აქ:

სესილი ლაზარია და ანა ჩიქოვანი - გაცვლითი პროგრამა აიდინის უნივერსიტეტში.

უყურე აქ:

მარია ბიჩნიგაური და ირაკლი ხუნწარია - მასარიკის უნივერსიტეტი.

უყურე აქ:

ახალწვეულთა მისაღები და კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიებები

SINCE 1992
TBILISI MEDICAL
MEDICINE